



№



MES 6 14 00925079

20/11/2014

ც ნ ო ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2005 წლის 19 აგვისტოს შპს „კავკასიის უნივერსიტეტზე“ გასცა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №0521003 ლიცენზია. იმ დროისათვის მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“, როგორც ლიცენზირებული ახლადდაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ჩაითვალა აკრედიტაციის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად 5 წლის ვადით.

სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №127/ს გადაწყვეტილებით, შპს - კავკასიის უნივერსიტეტს მიენიჭა აკრედიტაცია 5 წლის ვადით. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, ინსტიტუციური აკრედიტაციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ ჩაითვალა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებად აკრედიტაციის დარჩენილი ვადით, 2014 წლის 30 დეკემბერამდე.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 88-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ მიერ განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები ჩაითვალა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამად.

შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან (2005 წლის 19 აგვისტო), 2014 წლის 30 დეკემბრამდე, უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, მიანიჭოს კვალიფიკაცია და გასცეს განათლების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს მიერ და აძლევს მფლობელს შესაძლებლობას, განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 24 ივნისის N18 გადაწყვეტილებით, შპს - კავკასიის უნივერსიტეტს (ს/კ 205050567) 2014 წლის 30 დეკემბერიდან 5 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებებით შპს კავკასიის უნივერსიტეტის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს მიენიჭა აკრედიტაცია 5 წლის ვადით.

შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, მიანიჭოს კვალიფიკაცია და გასცეს განათლების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი, რომელიც აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

## REFERENCE

Please, be hereby informed that the Ministry of Education and Science of Georgia issued the Higher Education License №0521003 on behalf of the LTD – Caucasus University on August 19, 2005. Commensurate with Paragraphs 2 and 3 of Article 66<sup>1</sup> of then in force Law of Georgia on Higher Education the LTD – Caucasus University as a newly-founded licensed higher education institution was regarded as an accredited higher education institution *for a period of five years*.

Please, be hereby informed that by Decision №127/s of the LEPL – National Education Accreditation Centre, dated 30 December 2009, the LTD – Caucasus University was granted accreditation *for a period of five years*.

Commensurate with Paragraph 20 of Article 89 of the Law of Georgia on Higher Education, the institutionally accredited higher education institutions, including LTD – Caucasus University, are regarded as authorized educational institutions for the remaining period of accreditation, until 30 December 2014.

Commensurate with Article 2 (h), Paragraph 3 of Article 63 and Paragraph 7 of Article 88 of the Law of Georgia on Higher Education, higher education programmes of LTD – Caucasus University were regarded as accredited.

Please, be further informed that following the issuance of the Higher Education License (19.08.2005) until 30 December 2014, the LTD – Caucasus University is entitled to pursue higher education activities, award qualifications and issue state-recognized educational documents – Diplomas that entitle their holders to continue their studies at the next level of higher education.

Please, be hereby informed that by Decision №18 of the Board for the Authorization of Higher Education Institutions, dated 24 June 2014, the LTD – Caucasus University (identification code: 205050567) *was awarded authorization from 30 December 2014 for a period of 5 years*. Please, be further informed that by Decision of the Council for the Accreditation of Educational Programmes, dated 21 July 2014, the higher education programmes of the LTD – Caucasus University were granted accreditation *for a period of five years*.

Therefore, the LTD – Caucasus University is entitled to conduct higher education activities, award qualifications and issue educational documents – Diplomas that are recognized by the state.

Ekaterine Chinchaladze

Deputy Head of Registry, Apostille and  
Legalization Department

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / რეესტრის წარმოების, აპოსტილური და ლეგალიზაციის სამსახური  
სამსახურის უფროსის მოადგილე  
ჩინჩალაძე ეკატერინე

